



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება №98

2016 წელი 3 ოქტომბერი

ხაშური



### ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის 15 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დაზარალებულ მოქალაქეებზე ფულადი დახმარების გაცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის 15 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად მოსახლეობის ინფრასტრუქტურას მიაღება მნიშვნელოვანი ზიანი. ხაშურში, დაბა სურამში და ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში სეტყვის შედეგად დაზიანდა მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების სახურავები, რის გამოც საჭირო გახდა დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის 15 ივნისს მომხდარი სტიქიის (სეტყვის) შედეგების სალიკვიდაციოდ, დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის შესაბამისად და მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მოქალაქეებზე სტიქიით მიყენებული ზიანის თანხის ჩარიცხვის მიზნით საჭიროა დამტკიცდეს სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებები, რომლებიც შედგენილია ადგილზე შემოწმების აქტებისა და საბაზრო ღირებულებების მიხედვით წარმოდგენილ სამუშაოთა სახელმძღვანელო გაფასების საფუძველზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 10 მაისს №1717 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ ადგილზე შემოწმების აქტებისა და სახელმძღვანელოდ მიღებული სამუშაოთა გაფასების საფუძველზე შედგენილი თანდართული სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებები ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის 15 ივნისს მომხდარი სტიქიის (სეტყვის) შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებზე ფულადი დახმარების გაცემის მიზნით დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი თან ერთვის 19 ფურცლად);
2. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის 15 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად იმ დაზარალებულ მოქალაქეთა რეესტრი, რომლებზეც ხორციელდება თანხის გაცემა (დანართი №2 თან ერთვის 1 ფურცლად);
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

3

ვაჟა შუბითიძე